კვირა 7 თებერვალი 1916 წ. ფასი 12 კაპ.

რედაქციის ადრესი: თბილისი, ოლლას ქუჩა № 6.

ეშმაკიკ-მათრახი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 6

ქართველ-სომეხთა გასართობი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმზრდელი.

მე, ალზრდის საქმეში,
სხვა პრინციპს ვატარებ:

ამიტყდა ხველება
და მუცლის გვრემაცა;
ციეს ოფლში შეესცურდი
სისხლ განაცივები...

ან უკეთ ვინ გაწრთვნის
უგუნურ ბალღებსა!?.
მრისხანე მათ სახეს,
მათ ულმობელობას
სავსებით ვაბარებ
ამ დიად ხელობას...
მაგრამ... თუ იმათაც
ეურჩნენ შვილები,
მე სხვაც მაქვს იმათი
დასამორჩილები.
ჩავამწყვდევ ბნელეთში,
მზის სხივ ვერ ნახოს
და ისე გახდება
ვით კრავი გენახოს.
დასჭკნება სევდისგან
ლაღი, გულ ზვიადი
კარცერში ჩამჯდარი
ყრმა დანაწყვდიადი.

ვიღწოდი ამ რიგათ
დღეცა და ღამეცა...
შევხედოთ... ერთ დილას

—

მოვიხმე შვილები
(არ მონაფერები)
და შვილას მოველი
გულ ანაძგერები.
მოვიდენ...
შემოკრბენ
ჩემს ირგვლივ მწკვრივადა
და მკვრეტენ...
მომაკვდავს...
შორით, გულ ცივადა.
— ჰეი! რას დამდგარხართ?
რას უცდით შვილებო?
თუ მშველით... დროითი
თქვე დალოცვილებო!!!
ისინი კვლავ სდგანან
ვით ქვითა ნაკვეთნი
და კრინტსაც არ სძრავენ
იმთგან არც ერთნი.
— არ გესმით, ბიჭებო?
ხმას რატომ არ იღებთ?

რისთვის არ მოდიხართ,
ტახტთან არ წამიღებთ?
— გიშველით...
მაგრამ შენ
ნაცვლად რას გვპირდები?
ფეხზე რო წამოდგე
კვლავ აგვიხირდები??!
კვლავ ივლი
ძველი გზით
თუ დაჭგმობ ამასა
და ისე მოგვხედავ
ვით შეჰფერს მამასა:
ალერსით დაგვათრობ
და სიყვარულითა,
სიცოცხლეს აღგვივსებ
ტკილ სიხარულითა?

— რაო? მე ოჯახში
შევსცვალო წესები??
— დიახ... გვსურს
გვებოძოს
სხვა, უკეთესები.
რომ გვქონდეს უფლება
ჩვენ ჩვენის თავისა,
გარჩევა შეგვეძლოს
კარგის, თუ ავისა.
რომ გვქონდეს უფლება
ვყოთ ნება გულისა,
წარმოთქმა სურვილის
გულს დამარხულისა.
— ბრიყვებო!!
არას დროს
ეს ეგრე არ მოხდეს...
ჩემს წესებს არ შევსცვლი,

სიყრმითგან ვჩვევივარ
ჩემს სურვილს,
ჩემს ნებას,
და თქვენ გსურთ დღეს ხელი
აღვაღო ბრძანებას?

თვით ღმეთმა მამცნო შე...
თვით ღმერთმა მასწავლა,
—თუ რომ გსურს შველითგან
შენ ჭირისუფლება,
მოგვეცი ოჯახში
მცირედი უფლება!
ეგ სიტყვა დამესო
გულს ვითა ლახვარი!

(იქნება დასასრული)

ეშმაკი.



ტ. ტაბიძის რეცენზია!

როგორც საუკეთესო ნიმუში ქართული კაზმული მწერლობისა.

(ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები უცვლელად ეკუთვნის ტ. ტაბიძეს).

„მარტოობის ორდენის კავალერი გაღაქტიონ ტაბიძე“.

მკითხველო! სილამაზით განთქმული იდა კავალერი არ გეგონოს. რაკი სიტყვა **ორდენია** ნახმარი, უნდა ვიგულისხმოთ ამ ორდენის კავალერი, ანუ მისი მატარებელი.

რეცენზია იწყება ასე:

„არავინ როგორც მე მახსოვს ჩვენთან მოსული განიერი ეესტეტ რომ ლაპარაკობდა: „აი-მე“ არ ყოფილა გაქანებული ილიუზიის ქატით, უხილავ ნაიჯებში, რომ არი შემალული იმნაირი უჩვეულო და უტეხი გტაცებით, როგორც ოდესაც ეს ჭაბუკი, არავის არ უმხელია იმ ჭაბუკობის წამში, წამში რომელშიც ინთებიან ბედის წერის ელვანი, ამნაირი ბრწყინვა აზრისა, რომელიც სამუდამოთ აღიბეჭდება მკერდზე მარტოობის ორდენის ბრილიანტით“...

„ასე ამბობდა გრაფი ვალიე დელილ ადანზე სიმბოლისტების ბრწყინვალე მეტრი სტეფანე მალარმე“...

ვინ, რას ამბობდა—ეს იქნება „საქართველოელებმა“ აგვიხსნას, ხოლო არა მგონია ამისთანა აბდა-უბდა კიდევ ვისმეს ეთქვას.

არ იფიქრო მკითხველო ვაჭარბებდე, ან ერთი სიტყვა ჩემი ჩამეტებინოს. ამოწერილია სიტყვა სიტყვით „საქართველო“ № 3 და 4.

„მარტოობისა და ტანჯვისთვის ნიადაგი საქართველოში არის ყამირი“...(?)

არის მხოლოდ გამირი.

ქართულ ლიტერატურას მოევლინა ჭირი,

როცა კრიტიკოსთან გამოვიდა დიდყურა...

და ამ დიდყურას

„მგლოვარ ტუჩებზე“

ღიმილი გაჭრობია, რადგან

„ტრაურის ვიცლით შეიფუთნენ ჩვენი მგოსების მეზანი“.

აღარ არის ღვინო მუკუზანი და ტ. ტაბიძე კრიტიკას ველარ დასწერს.

„ქართული მწერლობა ჩვენი დღეებისა მიაგავს ნ. ლორთქიფანიძის საბარნ“.

შალვა დადიანის ლებს, ქუჩაშვილის ბალიშს და შანშიაშვილის მუთაქას.

ამ მზითევის სიძვირით ატაცებული კრიტიკოსი ექსტაზით შესძახებს:

„ღმერთო ჩემო რამდენი შესაძლებლობაა და რა ცოტაა მიხწეული... უკვდავ მიხწევათა აზრით რასაკვირველია“ (???).

„მწერლობა ჩვენი დღეებისა აქ ბევრია სახეები, არქაიული, მაგრამ არიან **საჭეებიც** (?) რომელნიც ქმნან ილიუზიას სიმბოლიზისას. უფრო ბევრია კიდევ სახეები სპეციპაკურ-ორიენტალისტური, რომელსაც თუ შეიძლება უნდა დაერქვას აზიური უკვდავი რომანიზმი (ტერმინი ეკზოტიკა დაახლოვებითაც არ **სწურავს** (?!) ამ ცნებას). აი ეს სახეები მიუხედავად საუკუნოებით დაშორებისა ერთმანეთს ამგზავსებენ ეგვიპტის პაპირუსებს—ინდოურ საგალობელს“—ბატების ბანს და იხვების კრიჰანეულს.

„გაძარცული ბაღი... ყვითელი ფოთლები... დაწყება შემოდგომის საღამოსი, რომლის მელოდია შექმნა ჰუგო ჰოფმანსტალმა, რომელსაც დაარქვეს საღამოს აქტიორი“

ღილის სუფლიორი და შუადღის სცენარიუსი.

თურმე მამია გურიელსაც უნდოდა ეთქვა ის, რაც სთქვა გ. ტაბიძემ, მაგრამ ვერ მოახერხა და **„უმღერი დარჩა ბალახვანი“.**

სამაგიეროთ აღრუტუნდა საღორია, აყროყინდა გაბაშვილის გორა, აქუვირდა გოკუორა და შეიქმნა ტ. ტაბიძის საამო სიმფონია.

„ქართული ენა მრავალ შესაძლებლობას“.

თითქმის იმისთანა მწერლებისაც-კი, როგორიც ტ. ტაბიძეა.

„ლექსთა გძელთა თქმის და ხევის, მხოლოდ ხელმარჯვები იგვიანებენ“.

ვინ ხარ ქრისტიანი გამბგებინეთ ეს რას ნიშნავს!

„ამასთან ეს სიახეები უშუალოთ განცდილი არიან შადრევნივით ამოდის“...

მე კი ღმერთს ვევედრები ბ-ნო ტ. ტაბიძევ, შენი შადრევანი დაშრეს, რომ კვლავ ამისთანა რამ აღარ დასწერო!!

ამისთანა მარგალიტებით სავსეა ორი ფელეტონი, მაგრამ ნიმუშისათვის ესეც კმარა, რომ გაიგოს საზოგადოებამ თუ რა აბდა-უბდას ბეჭდავს

„საქართველო“, ის „საქართველო“, რომელმაც დღიდან დაბადებისა ყველას ყურები გამოგვიქედა: მთელ ქვეყანაზე ყველაფერი და ყველაზე მეტი ჩვენ ვიცით. ჩვენს გარდა კი ყველანი უვიცნი და სულელები ხართო.

ქაფური.

P. S. სახელმწიფოთა ახალი სახელების გამოგონებას და დამახინჯებას, არა სჯობია რედაქციამ ენის სიწმინდეს მიაქციოს ყურადღება?! სირცხვილი შანშიაშვილის.

ჭ.

ორგვარი ზვირთი.

(„ზვირთს“)

I

მიყვარს ზვირთი მღელვარე ზღვის!
მის ბუნებრივ ტალღათ გორგებს
გიუმეტ ვერცხლის ქავლებს მისას
ზღვის გულიდან მონაგორებს
ვეტრფი იმის მუდმივ ბრძოლას,
ნაპირ კლდესან გამართულსა,
რაც ნელ-ნელა კლდეს ძირს უთხრის
მე მიახლებს სულს და გულსა.

II

ბაღონებს ზვირთი, როს მისი ტვირთი
მღორე ტბის არის ტალახით მღვრია
რასაც ქარ-ბუქის ძალ-დატანებით
ნაპირზე ნეხვი გამოუყრია.
ქარიშხალს შემდეგ იგივე ტბაა
„არც ზესდის არცა გაედინების“
მის ტალახიან და უძრავ გულში
მის „ზვირთებს“ ისევ ჩაეძინების.

ბუტუნა.

ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამოვერ იბეჭდება იგავი — „მოჭიფვა“ ონისიმესი.

ახლანდელი სიძვირე.

(ამერეული სტენა)

ამას წინეულ პაწია საქმე მქონდა თბილისში. გამევიკაზე ახალ ჩოხა-ახალუბში, ჩეველი ქალაქს დილა ადრიან, მივისაქმე, მეკისაქმე იმ დღესვე და რომ შებინდდა წამოვიესი ჩემი კოტა ბეწვიანი ნაბადი, დევიხურე ჩემი მაღალი ბუხრის ქუდი, ევიწკიპე ულვაშები და გამეეფდი ქუჩაში სასეირნოთ. ავეე და დავეე ქუჩას. გეკიხედე და მოდის ქალი. მისთანა ლამაზი კია, რომე აღარ იპოვი მასზე უკეთესს. ჩამიპაჭუნა თვალი, ჩაუკარი თვალი მეც. ევედევნე... ზრასტი, უთხარი—ზრასტია, მითხრა, რა ლამაზი ყმაწვილი ხარო!—იმე, რა სათქმელია ბატონო, —წევიდეთ ერთი წევიქეფოთო.

ჩეკიყავი ჯიბეში ხელი და ერთი თუმნიანი ქე მოვნახე კუნჭულში მიგდებული.

— საით წევიდეთ?

— აქვე რესტორანია, შევიდეთ იქინეო. წევიდით... ჩევედით... ვთქვი გუნებაში. ფული ქე მაქ და აბა, გამევიჩენ ბიეობას, თქვა“ შევედი რესტორანში და... რას ნახავს ჩემი თვალები! არის ერთი ზრიაქი!.. აქეთ გიტარაზე უწრიპინებენ, იქით დოულია ხახა ვინცხა ორ არშინიან სიგანის ქალს და გაჰკივის. აქეთ ლაქიები დარბიან, ეექილებივით კალთებ ჩამოხეულ ტანისამოსში გამოწყობილი. ჩამოვჯექი ჩემი „დუშკათი“ და ვუბრძანე:—დავი ადინ დუტინ ვინა, მეიტანეს და ჩამოწკაპეს.—დავი სუპ, ჟარკოი, კატლეტ, როზბივ, (საქმანდეგის სახელები ქე ვიცი ღვთის წინაშე, ჩემმა „ნაპოვარალმა“ ბიძია ონისიმემ შემასტავლა) მოგვიტანეს სუფის გარდა ყველაფერი, თურმე საღამოზე სუფის ჭამა არ ცოდნიათ აქანე. შევრცხვი კაცი!..

— გავმართე ნადიმი! გამვლელს და გამომვლელს ღვინოს ვასმევდი ყველას. ჩემი „დუშკა“ მიპრაწავს და მიპრაწავს თვალებს: გული არხეინათ მქონდა. ვფიქრობდი: ერთი თუმანი ქე მეყოფა. რომ ვიანგარიშოთ თითო აბაზი ბოთლი ღვინო, რადგან კაი ღვინოა, ეს შენი ორი მანათი და ორი

ბაზი. საკამანდებიც ხუთ ნაირი ექვს-ექვს შაურათ ვიანგარიშოთ, ეს შენი მანათ ნახევარი. გასამრჯელო ლაქიას—ათი შაური. სულ შედგა ხუთ მანათამდის. ხუთ მანათსაც ჩემ დუშკას მივაკრავ შუბლზე, ესეც შენი თუმანი.

შეიქნა ღამის ორი საათი. დაცალიერდა რესტორანი. მევითხოვე „სჩოთი“. მეიტანეს, დავხედე!.. იმე, რა დევინახე ეს!.. გამოუანგარიშებიათ, მარა როვორი! კანკრაზი ოთხ თუმან ნახევარი ჩოუნიშნიათ და გვერდზე მარკაც ქე უდღუზიათ ორ შაურიანი.

— რაა, ბოშო ეს, უთხარი მე.

— „შჩოთია“, ბატონო.

— ხუმრობთ თუ მართალს წერთ?

— მართალია, ბატონო! ბოთლი ღვინო ორი მანეთი ღირს, თითო „ჰორცია“ საკმელი ოროლი მანათი და ლაქიას მანათზე ორი შაური საჩუქარი ერგება.

იმე, რაღა ვქნა ახლა! თავში ქი მიღიტინებდა ღვინო, მარა ერთ წამში გამოვფიზზლდი, დავაღე პირი და გავშტერდი... გეიგო ჩემმა „დუშკამ“ რომ გლაბათაა საქმეო და წევიდა ხვანხვალ, ხვალხვალით კარებისაკენ. გამევეკიდე.

— სტოო, დუშკა, კუდა იდიოშ?

— დასვიდანია! დამინი იდუ!

მსტაცეს ხელი ლაქიებმა, ეგონათ მირბის კაციო. მომივიდა კუჭი, რავა გაბედეთ და ხელი შემახეთ-თქვა, გოუშალე ერთს და ესტკიცე, გოუშალე მოორეს და ესტკიცე სილა. დამეხვია ოცამდინ კაცი, მარა გიყვარდეს, რომ მე იმათ უტირე ყოფა. ბოლოს მევიდა „გარადოი“, „ჰოლიცია“, „სტრაჟი“, აკალოჩნიზი“, გამქაჩეს და წამიყვანეს...

რავარც იყო დავახწიე თავი „არესტს“, მარა ჩემი ბეწვანი ნაბადი, ვერცხლის ქამარ-ხანჯალი და ხუთ თუმნიანი ბუხრის ქუდი ქე გახთა მისი ჭირის სანაცვლო.

დალუპოს ღმერთმა ახლანდელი სიძვირე.

გუგული.

„მოდვაწეთა მოდვაწეობა“.

(ქუთაისში წყალ-სადენის მოწყობის კარშემო)

დიდი ხანი არ არის, მას აქეთ რაც ქუთაისის ამშენებელმა ილია მანუჩარიძმა ოკრიბელი აზნაური ეორეიკას დახმარებით, (კოლუმბისა არ იყოს) ოკრიბის მთაში მოჩუხჩუხე წყარო აღმოაჩინა. იმედია ახლო მომავალში ვეღირსებით ანკარა წყაროს წყლის სმას, რადგან უმთავრესი საქმე: გეგმის და მოხსენების შედგენა უკვე დაუმთავრებია ინჟინერ ბ. ეკერდიანს. ჩვენი ბედოვლათი ქალაქის მამები მოუთმენლათ მოელოდენ წყალ-სადენის გეგმის დამთავრებას და კიდევაც გამოიჩინეს ამ საქმისადმი დიდი ინტერესი: კერძო თათბირზე, მოხსენების მოსასმენათ—გასაცნობათ გამართულს, სამოც ხმოსანში მხოლოდ ხუთ ნახევარი კაკი დაესწრო. აღსანიშნავია ის, რომ ყოველ ახალ მოსულ ხმოსანს თან მსახური მოსდევდა სკამით. ჩვენ ლორდ-მერს, სამშობლოს საკეთილდღეოთ, საჭიროთ უცვნია დარბაზიდან სკამების წინასწარი აკრეფა, რათა კერძო პირებს დასაჯდომის უქონლობით დაჭკარგოდათ ხალისი სხდომაზე დასწრებისა. მიუხედავთ ამისა მე ცოდვილი გავკადნიერდი, ფანჯარაზე ჩამოვჯექი და იქიდან ვისმენდი ჩვენ მოდვაწეთა აზრიან მუსაიფს.

თითქო ჩემ ჯინაზე, ხმოსანთა კრებულში ფეხი ფეხ გადადებული გადაქმულიყო ოკრიბელი აზნაური ეორეიკა. ის ამ ტომად ექს გამგეობის წევრია. დღემდი კი სიმონის მაგიერობას ეწეოდა. ნაციონალურ კოსტიუმში მორთულს, საომარ იარღით აღქურვილს, ნიშნად ომიანობისა საქილებში ფიშტოს პატრონები ქონდა გარეშობილი, რაიც ისედაც მის მხნე სახის გამომეტყველებას აორკეცებდა.

თათბირის გახსნის თანავე ლორდ-მერმა მიიღო რა მრისხანე გამომეტყველობა უბრძანა ხმოსნებს ბ. ინჟენერისათვის მადლობა გადაეხადათ, რაც დარბაისელმა ხმოსანთა კრებულმა დაუყონებლივ ფეხზე ზამოხტომით შეასრულა. ამ მოულოდნელი პატივით და გადაჭარბებული შექებით გაჭარხალებული ინჟენერი შეუდგა მოხსენების კითხვას. ტეხნიკური მხარე მოხსენებისა ჩინებულად და დალაგებულათ აღმოჩდა შედგენილი. მხოლოდ ერთ ვაჭარ ხმოსანში დაბადა შიში რავ

დიუმიანის ხსენებამ. ის რასაკვირველია ფიცხელ დაბოშმშანეს, როცა განუმარტეს რომ ეს წყალ-სადენის მილს შეეხებოდა და არა სხვა რამეს. მოხსენებაში მართალია მასალის ფასები არ აღმოჩდა აღნიშნული, მარა თურმე ომიანობის გამო ფასების გამოკკვეეა ვერ მოხერხდა, და უკეთუ უცხოეთიდან მასალის გამოწერა შესძლეს, ფასებიც თავის თავად გამოიარკვეეა. ერთი ურწმენო თომა ამ მრავალ რიცხოვან ხმოსანთა კრებულშიც აღმოჩდა. მან გაბედულათ განაცხადა: ბადეები ვერ გვიშოვნია ქუჩების ფანრებისათვის, ერთ რვა დიუმიანი მილის გამოწერა ეერ მოგვიხერხებია გამგეობის ნოლიან ოთახისათვის და წყალ-სადენისათვის საჭირო მასალის გამოწერას რა გზით მოვახერხებთ დღევანდელ პირობებში. ცალმხრივი შენიშვნა ლორდ-მერმა საბუთიანად უარყო: ტეხნიკის გაუმჯობესობის გამო დღეს „ექსპორტ-იმპორტი“ აეროპლანების საშალებით ხეებაო და ამ არგუმენტის შემდეგ თათბირმა სავსებით მოიწონა მოხსენების ტეხნიკური მხარე—გეგმებითურთ და აღფრთოვანებული ხმოსნები მოემზადენ მოხსენების ფინანსიურ მხარის მოსასმენათ.

აღნიშნულმა მხარემ უფრო გამწვავებული აყალ-მაყალი და აზრთა შეხლა-შამოხლა გამოიწვია. აღმოჩდენ პროტესტანტები, რომლებსაც შემოსავალი გაბერილათ ეჩვენათ და გასავალი შემცირებულათ. წარმოიდგინეთ ერთმა ისიც თქვა: მართალია ბახუსის წვენი გაძვირდა, მარა ორ ვედრა წყაროს წყალს თვითეული ქუთათური დღეში მაინც ვერ დალევსო, მერე და კურთხეულ ქუთაისში ჭები მრავლათ არის, რიონიც შუა გულში მიიკლაკნება და წვიმაც უხვათ იციხო. ამ მიზეზების გამო არამც და არამც მოხსენებაში ნაჩვენები წყალი არ დაიხარჯებაო. დამაცათ გეთაყვა—წარმოსთქვა ილია მანუჩარიჩმა, უკეთუ მთავრობის კუნჭულოებში გავაძვრინე საქმე, შენოპათა მოხაზარება ჩემ კისერზე იყოსო. ამა მისი კისერის და თავის სისხლში რომელ ხმოსანს შეეპარებოდა ეჭვი და მოხსენება დაუყონებლივ იქნა მიღებული.

თათბირის დასასრულ ქალაქის თავმა დარბაისლურათ წარმოთქმულ სიტყვაში, გარკვევით დაგვიხასიათა ქუთაისში წყალ-სადენის მოწყობის ისტორია. ჩემ მოვლინებამდი ქალაქის მოღვაწეები ოცდა ათი წელი ფუქეთ ეძებდენ წყაროს და ვერ იპოვესო. თურმე ამ ხანში ათჯერ გაუზომიათ ქუთაისის ქუჩები და შეუდგენიათ გეგმა-ნახსენება. სამ წელში ერთხელ იცვლიდა მმართველის ქუჩები. ოთხი წელი ჩემ წინაპარმა, ჭიეს ეკეთებულ საქმის დაფუშვას მოუნდიო და დაგვაიმედა: უკე თუ აწი წინაადმდეგობას არავინ გამიწევთ, უბმოთ—უკრიტიკოთ მომყვებით, არა უგვიანეს ცხრა წლისა ქუთაისის მცხოვრებლები ანკარა წყაროს წყლის სმას ეღირსებაო ჩვენი დანტისტების საკეთილ. დღეოთ დაშმბულ რიონის წყლის სმას გადარჩებაო.

გაგიხარიან ნასიამოვნები და დიდათ გამხნევებული ჩვენ დავრჩით ძვირფასი თავის სიტყვით! გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ ერთი ხმოსანი ექიმი. იგი თათბირის დროს ბორჯომის წყალს მიირთმევდდა და მისი გავლენით, თუ რაღაც გამოურკვეველი მიზეზით, სკეპტიკურათ შეხვდა წყაროს წყლის ამბავს და ურჩია ქალაქის მოღვაწეებს სანოვაგის სიძვირის გამო თავი დაენებებინათ წყალ-სადენის მოწყობისათვის და მავნებელი რიონის წყლის ნაცვლათ ბორჯომის წყალი ესვათ.

საერთოდ მე ისე მიეხდი რომ ბ. ქურდიანი დიდათ კმაყოფილი და ნასიამოვნები დარჩა საბჭოს კერძო თათბირით. ცხადია, ქუთაისიდან თფილისში გაბრუნებული გზაში სულ ამას ფიქრობდა: ასეთი ხმოსნების ხელში წყალს ქვიდან გამოადენს კაციო.

„სატანა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ იღებენ პოზიციებს „ძმურ ნუგეშში“.

ქუთაისის ელეკრესტრიანტში

(გურული სცენა)

გუშხამ გოროცკი ტრიანტრიდან რაავარც იქნა მივფორთხდი გოგიე ჩხაიძის რესტორაციაში. ააშენა ღმერთმა, ქეა კაი ყაძახი! რო შემამჩნია სახე მოკუბრული მქონდა, მკითხა: რა წაგეკიდა პავლიაო?—ღმერთმა დასწყევლოს თქვენი ქუთაისის გოროდი და თქვენი ტრიანტი მეთქი და მოუყევი რაც იქინე გადამწყდა ყოლიფერი. მითხრა:

— არ გეწყინოს და, შენ ჩემო პავლია ხამი ხარ და იმიზა გეტოშა.

— დედავ, წავხთი ახლა, რას მეუბნები მაგას გოგია, მაგია გამოჩოვი? ყაზილარები კისერზე, ზრუგზე და მუხლებზე რომ დეიტინო და თავი გამოაჯორგვიო? არა, ძამია, მაგას ვერ ვიზამ.

— ბევრი აღარ მილაპარაკია, მივწევი ერთ იეფიან ნომერში და მეორე დღის 12 საათამდე ბანდალი არ მიქნია. ავდექი პირველ საათზე ბატონ კაკივით და მეორე საათზე სადილი დევიხეფსე, გადავწყვიტე ღამის ათ საათზე მაინც წავსულიყავი სახში; ათ საათამდე კაი მოყოლია ხანი იყო და დევიწყე აქეთ-იქით ბლაცუნი, შერიშრამდა, გევიხედე, ყოველგან გადაეირეტილებულია დუქნები. ერთ დუქანს მაინც წინა კედლებზე თლათ მოჭანჭარიკებული ქონდა რაცხა გვალ-გვალი სინათლეებსავით. გადვირიე კაცი, ბიქო, დეიწვა დუქანი მეთქი. კაღმ ვიყვირე, მარა, ჩემს თავს ვუთხარი: ბიქო, შენდა დიეტიე, სირცხვილი არ ქამო, თუ იწობოდეს, აგერ ამდენი კაცი რომ არის, რეიზა აფერს ჩივიან მეთქინ და ჩავჩუმდი, მარა არ მომითმინა გულმა. წამივიდა სული და ერთ კაცს ვკითხე, რეიზაა აგი დუქანი ასე გაეირეტილებული მეთქინ.

— აგი, ელეკრესტრიანტიაო, მითხრა. ოი, დასწყევლოს ღმერთმა თქვენი ტრიანტი მეთქინ და გამოვბრუნდი მარა, არ იქნა, რაცხა სულ იქით მიმწევდა. ბოლოს რაღაცა ჩემმა უბედურებამ ქე მიმაჩერჩეტა ახლოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურსათ-სანოვაგეთა საკითხი.



გზა საქონლის ვაგონისაკენ.

— ბიკოს! რაცხა ბუზიკა თუ ღიტარის ხმასავით გევიგონე, გადაშნარა მაშვინათე გულზე, ჩემი ფოსინიე სულ ბუზიკას უკუიპინებს და გიტარას უპანტურებს, მარა, იმისანი ჩაკირკანტულებული არაფერი გამიგონია. გადავფურტნე ეშმაკებს და ბილეთების საყიდლათ მივედი. ვთქვი, რაც უნდა იგი მიქნან ღიმლაზისტებმა, კისერზე დამაკდებიან, ზრუვ'ში მომეკუქუნებიან, მუხლებზე დამაწობიან მარა ყურში ხომ ვერ ჩაძიძერებიან, ამ ბუზიკას მაინც ქე გევიგონებ მეთქინ. ნათქვამია არეკი: „ვინცხას თურმე წყალში ცული ჩაუვარდა და წალდიც ზედ მიაყოლაო“. სწორეფ მეც ასე ვიზამ მეთქინ, და მივედი გამოკრილ საბილეთესთან, დეკიკუზე და უთხარი ქალს: ბარიშნა, ბილეთ დავი, მარა ქანდარაზე ნი ხაჩუ მეთქინ.—წინაი თუ უკანაი გინდაო.—წინაი მომეცი მეთქინ ვუთხარი, რაც დამეხარჯება დამეხარჯოს, არ მინდა იმ ქანდარეს აფერი მეთქინ. მომიფხრიწა რაცხა ქაღალდი და აბაზი გამომართვა. გავშტეკილი კაცი, ვერ მოვედი აზრზე, ვეკითხები ჩემს თავს: რაფერ არის აგი. გოროკკოი ტრიანტში ქანდარაზე, თლათ უკანაი ბილეთი სამ აბაზათ დამიკდა და ამ ბარიშნამ წინა ადგილი აბაზათ მომცა, აგი რაფერ არის მეთქინ. მერე ქე გევიგე, როცა გადმომებრუცა წინ ქდომით თვალები, რაში ყოფილა საქმე. თურმე ელეკტრესტრიანტში თავ-უკუღმა ყოფილა ყოლიფერი, ქანდარე თურმე აქანაი პირველი ადგილი ყოფილა. შევედი დავქედი; ვუყურებ როის დამაკდებიან ღიმნაზისტები თავზე მეთქინ, მარა, ხულს ვერ დავწვავ, აქანაი ქე იყვენ წყნარათ, გევიხედ-გამევიხედე, ქეც შემრცხვა და ქეც შემეშინა, თლათ გაფსებული იყო იქოურობა ღიმლაზისტებით და ცოცეებით, ეპრახიალისტებით. თელათ ქუთეისის გოროდის უჩენიკები თურმე ყოველ ღამე აქანაი არის, ისე ყოფილა იგენის მასწავლებელის ბრძანება. მე რომ მკითხოს კაცმა, ხომ უსტაველი კაცი ვერ, ინჩი არ მეყურება, მე იქინე ბალანას. ასი რომ მყავდეს ელეკრესტრიანტში არ გოუშობ. ნენა, ნენა, რა ვნახე იგი საოცარი, უბედურება ამბავი! ხომ კარგათ უკირკანტულებდა ბუზიკა იყო

თუ რაცხა, მარა, იგი აღარ მეყურებოდა, ისე გამიტაცა, რაცხა ისეთი უბედურება პაპრეთები გვიჩვენეს: გამეგიდა ერთი უშველებელი შტრინგი ყაძახი, გამოყვა ვინცხაის კაი შეპიწკინებული ციცე, დოლწყეს ერთმანეთს ბღაზური, ღლარxვა, თვალის შტიმვა, მერე მობუxღნეს ერმანეთი, ჩამეეკოპსიალენ კისერზე და წურბელასავით მიაპიპქიდენ ერთმანეთს, პროშტეს და პროშტეს, კოცნეს და xგვლიმეს ერთმანეთი. ხომ მოხუცებული კაცი ვარ, მარა, მე ამიღოზურდა გული, და ბაღნები, ან ღემლაზისტები და ღემლაზისტკები ხომ დეილიენ, მეისპენ თლათ, ისე აღელდენ. „ხო, ხო, ხო, ხო, ბიკო, ბიკო, ბიკო, რაფერ მოწრუპა, მაგ დასაღუპავმა, შეხედე, შეხედე, ანიუტა,—ფაფა, ფა, გენაცვალე ყაიდაში, მასე, მასე“. სულ ასე იძახდენ ჩემს გარშემო. ვინ იცის კიდევ რამდენი იმაზე ვარესი მანახეს. არა, მე კაი, თუ გინდა, მაგისანაი ქე მინახავს და ვარესიც, მარა, ამ ბაღნებს პატრონი რეიზა არ ყავს, რომ აქანაი უშვებენ, ამაღამ რავა დიეძინება იგენს. არა, ბაღნებს რა გიმტყუნება დიდებსაც რო წამოეპორწიალებია თითისიგძე ბაღნები და აყურებიებდენ ამ საშინელებას... შვიდობით „ელეკრესტრიანტო“, ბრაშჩიატ, მივალ შინ ჩემს ეფიზელასთან, თვარა შენ თუ გიყურე კარქათ წავა ჩემი საქმე. ასე წევიდა ჩემი მგზავრობა.—წყალტუბოს აბანოც ვნახე და ვირის აბანოც, კაი ამბავი მიმაქ შინ.

ლუკაიეს ობოლი.

მოსსენება ხონიდან.

II

ორი ინტერვიუ.

პირველად ექ. მ. ჩხენკელს ვეწვიე. იგი თუმცა რწმენით ეხფერია, მაგრამ როგორც გადმომცეს, არაფერი აქვს საერთო აქაურ მამულიშვილებთან. თავაზიანათ მიმიღო.

— უკაცრავათ ვარ, გაწუხებ,—დავიწყე მოკრძალებით და რბილ სავარძელში ჩავxეკე,—მაგრამ იმედი მაქვს არ გამიწყრებით.

— აბა რა ბრძანებაა... მიბრძანეთ რით შემიძლია გემსახუროთ, მე მზად ვარ.

— თუ არ ვცდები თქვენ ეროვნული მიმართულების უნდა ბრძანდებოდეთ.

— არ სცდებით.

— მაშ რით ავხსნათ გამწვავებული დამოკიდებულება თქვენსა და აქაურ მამულიშვილთა შორის?

— მით, ჩემო კეთილო, რომ ჩემსა და მათ შორის არაფერი საერთო არ არის: აქაურ, ეგრედ წოდებულ, მამულიშვილთათვის ეროვნული მიმართულება საშუალებაა თავიანთ კერძო საქმეების მოსაკვარაპენებლათ, ჩემთვის კი—რწმენა; მე სულითა და გულით წმინდა წყლის დემოკრატი ვარ.

— მერე განა დემოკრატები არ არიან მასიკო ჭელიძე, მათე ბახტაძე მეუღლითურო, ჭიჭიკო ქუთათელაძე და ძმანი მათნი, რომელთა სახელი ლეგიონია?

ექიმის შავგრემან, სახეზე ირონიულმა ღიმილმა გაითამაშა.

— თქვენ ან ხუმრობთ, ან სრულიად არ იცნობთ ამ ხალხს. თქვენ მიერ ჩამოთვლილ პირთა დემოკრატობა აბა სად გაგონილა?! მ. ჭელიძე მხოლოდ და მხოლოთ სპეკულიანტია, ექიმი ბახტაძე კი ბანკირი, მაგრამ ცოტათი უნარ-ნაკლები, ჭ. ქუთათელაძე... ექიმი ერთის წუთით ჩაფიქრდა და შემდეგ განაგრძო: არ ვიცი სწორეთ რა დავარქვი, იგი ყოველივე იდეურობას მოკლებულია; მხოლოდ ოხუnxობა იცის მოხთენილი, მაგრამ ხანდისხან იმასაც გადაამლაშებს ხოლმე. არა უკეთესებია სხვებიც, ერთი სიტყვით აქაურ მამულიშვილთა ლაშქარი შესდგება ვაჭრებისაგან და სხვა ამგვარ ელემენტებისაგან. ასეთ მამულიშვილებისაგან ვიxმნი და ათასყერ ვიxმნი, ბ-ნო აბოო.

— მაგრამ, ბ-ნო ექიმო, მამულიშვილთა ლაშქარი ყოველგან ასეთ ელემენტებისაგან შესდგება; ვაჭარი, მღვდელი, ბერი, თავადი, აზნაური, ბანკებში და სხვა შემოსავლიან ადგილებში მოკალათებული ინტელიგენტები, რენეგატები და სხვა და სხვა, აი მამულიშვილთა xარი.

ექიმის სახეზე მწუხარების ღიმილი აღიბეჭდა, მან თავი დაბლა დახარა და მწარე ფიქრებს მიეცა. მეც გავნაბე სული. ოთხი-ხუთიოდე წუთმა განვლო და ექიმი კი ისევ განაგრძობდა ფიქრთა მორევში ცურაობას. უკვე მეოთხმეტე საათი გახთა, მეტი მოცდა ღრ შემეძლო, რადგან მასიკო ჭელიძისაკენ მივიჩქაროდი ინტერვიუზე. ფრთხილათ ავდექი და გამოსამშვიდობებლათ მოვემზადე.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ბ-ნო ექიმო! კიდევ ბოდიშს ვიხდი და დიდ მადლობას გწირავთ...

ექიმმა თავი ზევით ასწია და რა დამინახა ამდგარი, თვითონაც წამოდგა.

— უკვე მიბრძანდებით?

— დიახ, მეჩქარება.

— თუ შეიძლებოდეს ერთი თხოვნა მომისმინეთ, მეტად ნაღვლიანი ხმით წარმოსთქვა მან და თვალებში მომაშტერდა.

— ბრძანეთ და მისმასურეთ.

— თუ თქვენ მართალს ლაპარაკობთ და მართლა ყველა ჩვენნ მამულიშვილები ისეთებია, როგორიც აქაური—ხონელი მამულიშვილები, დამავალეთ და სთხოვეთ ჩემს მაგივრათ ბ-ნ ეშმაკს, რომ გამოაცხადოს, საქვეყნოთ გამოაცხადოს, რომ მე არა ვარ მამულიშვილი... დღეის იქით მე ვიქნები მხოლოთ ქართველი და მეყვარება ჩემი ერი იმ უანგარო სიყვარულით, როგორითაც დღემდე მიყვარდა.

— ბატონი ბრძანდებით. მიუგე მე და გამოვსწიე.

რამდენიმე წუთის შემდეგ მასიკო ჭელიძის მაღაზიის წინ ვიდექ. ბ-ნი მასიკო ანგარიშების წიგნებში იყო გართული და მეც დავიცადე სანამ საქმეს მორჩებოდა. დიდხანს არ დამჭირდა ცდა. ის მალე მორჩა ანგარიშებს და წიგნი განზე გადადო. მეც შევედი მაღაზიაში და მოკრძალებით დაუკარ თავი.

— ნება მიბოძეთ გაგეცნოთ: მისი უეშმაკეობულესობის მოადგილე ხონში—ავი

— მერე ჩემგან რა გნებავთ; ცოტა მწყარალი კილოთი მიპასუხა მან და ამათვალ-ჩამათვალიერა.

— ბევრი არაფერი. როგორც მე გავიგე თქვენ ბრძანდებით ადგილობრივ მამულიშვილთა ლიდერი, ამისათვის მინდა ინტერვიუ გაგიკეთო.

— ინტერვიუ?!.

— დიახ, ინტერვიუ.

— როგორ თუ ინტერვიუ გამიკეთო?! მე არაფერი არ გამეგება... ჯერ ამიხსენეთ რა არის ეგ ინტერვიუ, ან რამდენს ითხოვთ მის გაკეთებაში.

— რას ვითხოვ რამდენს, ბ-ნო მასიკო?

— რასა და ფულს. რამდენი ღირს ინტერვიუს გაკეთება?

— მე ფული არ მინდა მე მინდა გავიგო თქვენი აზრი ქვეყნის დღევანდელ პოლიტიკურ დგომარეობის შესახებ, მინდა გავიცნო თქვენს შეხედულობას; ამას ეწოდება ინტერვიუ.

— აჰაა, ახლა კი მივხვდი, მაგრამ მაგარი ის ირის, რომ მე... აბა რა ვიცი რა აზრისა ვარ... მე... მე იმ აზრისა ვარ, რა აზრისაც თევდორე ღლონტია; თუ ამ მწყარალს წყარალებს წაიკითხავთ, ჩემ აზრსაც გაიგებთ. თუ ინებებთ, მე გითხოვებთ „სახალხო ფურცელსა“ და „ზვირთის“ ნომრებს...

— არა, არა ღვთის გულისათვის,—შეშინებული შევსძახე მე,—აბა რა დაგიშავეთ რომ ასე სასტიკად მიპირობთ დასჯას?!. არ მინდა, ბ-ნო მასიკო, თქვენი აზრი პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, ოღონდ კი თევდორე ღლონტის წერილებს ნუ წამაკითხებთ... სხვა რამეებზე ვიბაასოთ, აი თუ გნებავთა დასელებზე.

— დასელებზე?.. ეგ კი შეიძლება. დასელები მეტად ვერაგი ხალხია, არ მასვენებენ: ხან რას მწამებენ და ხან კიდევ რას...

— ჭეშმარიტათ, რომ ვერაგი ხალხია, ამაში მეც გეთანხმებითო, მაგრამ შეიძლება ამიხსნათ მიზეზი მათი ვერაგობისა? მე ბევრი ვეცადე, მაგრამ ნამდვილ მიზეზს მაინც ვერ მივაკვლიე.

— ნუ თუ, ბატონო აბო? აბა რა არის აქ გაუგებარი? უნადაგობა, ბატონო, უნადაგობა! ჩვენში იმათ ნიადაგი არა აქვთ და ეს არის მთელი მიზეზი მათი ვერაგობისა და სიბრაზისა. ამ ბოლო დროს კი სრულიად გამოეცალათ ნიადაგი, განსაკუთრებით, რაც ჩვენმა თევდორემ „ზვირთი“ გამოსცა: ახლა მუშები ყველანი ჩვენსკენ გამორბიან. ამის დასამტკიცებელი საბუთიც აქა მაქვს. ბ-ნმა მასიკომ უბეზე გაიკრა ხელი და ქაღალდების მთელი დასტა ამოიღო. შემოაცალა ჯერ ერთი ფურცელი ქაღალდი, მერე მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და გამოაძრო მეშვიდე, რომელიც პირველ ექვს ფურცელში ჰქონია გახვეული.

— აშკარაა, რომ არც სახუმარო საბუთია, გავიფიქრე გულში და სმენათ ვიქეცი.

— ი, ბ-ნო აბო! მოისმინეთ რასა მწერს ერთი თბილისელი სახელოვანი მამულიშვილი, მითხრა ხონელ „მამულიშვილთა ლიდერმა“ და დაიწყო კითხვა: „ძვირფასო მეგობარო მასიკო! მოგიკითხავ და სალამს გიძღვნი საყვარელ საქართველოს დედა-ქალაქიდან. სხვა რასა იქ, როგორ მიდის მაქ საქმეები? წყეული დასელები ხომ არ გჯობნით?.. ეცადე, ეცადე ხონელ მამულიშვილთა ბურჯო, და ისტორია არ დაივიწყებს შენს ღვაწლს. აქეთ კი საქმე ისე კარგად მიდის, რომ ჩვენც გვი-

კვირს. „ზვირთმა“ თავზარი დასცა წუპაკ დასელებს; მისი წყალობით ეროვნული მიმართულება საარაკო, ზღაპრისებურის სისწრაფით ვრცელდება მუშებში. მერე არ იკითხავ, რა მუშებია ჩვენი მუშები? თეოდორე სტატისტიკურად ამტკიცებს, რომ ერთი ჩვენი მუშა განვითარებით და ამხანაგური სოლიდარობით უდრის 908$^{1}/_{7}$ დასელ მუშას. არითმეტიკულათ რომ დავთვალოთ, ჩვენი მიმდედარ მუშათა რიცხვი მთელს საქართველოში მხოლოდ 21, მაგრამ, რადგან თვისება გადადის სიმრავლეთ და არა სიმრავლე თვისებათ, როგორც ჩვენებური უვიცი დასელები ამტკიცებენ, ჩვენი მიმდევარ მუშათა რიცხვის მისაღებათ 908$^{1}/_{7}$ უნდა გავამრავლოთ 21-ზე; მივიღებთ 19071-ს. ამდენი მუშა დასელებს არასოდეს არ ყოლიათ და არც ეყოლებათ. ამას გარდა...

ამ დროს მაღაზიაში მუშტარი შემოვიდა. ბ-მა მასიკომ იმ წამს კითხვა მიატოვა და მას მიუბრუნდა. მეც ვიხელთე დრო და სწრაფად გამოვსრიალდი მაღაზიიდან, რაგან ძალზე შემეშინა, რომ ხელახლავ წერილს არ დაბრუნებოდა ბნი მასიკო და თეოდორეს ახალი სტატისტიკური ცნობებით არ გამმასპინძლებოდა.

თქვენი უეშმაკესებულების მოადგილე ხონში

აბი.

აპაპი ფაღავას ნატვრა.

ქართული თეატრი!

ოოჰ, ეს არის ჩემი იდეალი! ჩემი ოცნება და სინამდვილე! სიზმარი და ცხადი! ჩემი გულის ძგერა და სულთა სწრაფვა! ეს არის ჩემი წმინდა ტაძარი, საცა მუხლს ვიყრი და თავზე ნაცარ წაყრილი ვლოცულობ ხოლმე...

და მე მსურს — ეს ტაძარი დაინგრეს ისე, რომ მის ნადგომზე არც ერთი ქვა აღარ დარჩეს: ქართული თეატრის საძირკველი აღმოიფხვრეს ისე, რომ აღარსად იყოს მისი ხსენება, სიტყვა „ქართული თეატრი“ ამოიშალოს ლექსიკონიდან და გადავიდეს მოგონების ხანაში. ცეცხლმა შთანთქას დრამატიული ლიტერატურა, ყველა პიესები, თარგმნილი და ორიგინალი, ისტორიული და თანამედროვე... ჟამმა გასწყვიტოს ყველა დრამატურგები უცხო და ჩვენებური... შავმა ჭირმა მოსრას ქართველი არტისტები ნიჭიერი და უნიჭო, მოხუცი და ახალ-გზდა, ქალი და კაცი, დიდი და პატარა და დავრჩე მარტო — მე...

ქ—

მესტვირული.

ცუდი დრო გვიდგას მკითხველო,
მძიმე და აუტანელი,
ამგვარი უბედურების
ჯერ არვინ არის მნახველი.

თოფ-ზარბაზნების გრიალში
სივდება გულის ნაღველი,
და თუ კვლავაც ასე გასტანა
აღარ გვქონია საშველი...

სოფელ-ქალაქათ ვაჭრები,—
ეგ ყორნები და ყვავები,
აღარ ინდობენ არავის,
ლამის გაგვაძრონ ტყავები.

შაურიანში მანეთი
მიაქვთ, ვინ არის დამშლელი?
მოდის და მოდის ქანქარი,
სიმდიდრის წყარო—გამზრდელი...

ქუთაისშიაც ,,კი გვყანან
მსგავსნი წურბელთა სადარი,
ბასილად—კოლასონია
და კიდევ ბევრი მათ გვარი.

ამ ყმაწვილებსა უპოვეს
გადამალული შაქარი,
ბრაზმა გახეთქა ორთავე,
აებნათ ჭკუის დავთარი.

ჯავრსა მუშტრებზე იყრიან,
უწესოთ ილანძღვიანენ,
სიტყვა ვერ გითქვამთ სათქმელი
ყვირიან, იმუქრებიან.

თუმცა ჩინ-ტემლაკიანებს
უფრო თავიზით ხვდებიან,
„რამდენიც გინდათ ინებეთ“
ღიმილით ეუბნებიან...

ვაი რა დროა ტიალი,
მძიმე და აუტანელი,
ამგვარ ,,აჩაღურ ,,ვაპრობის
ჯერ არ ეყოფ ,,ლვარ მნახველი.

ამ დელიყანდთა ,,ქცევითა
სავდება გულის ნაველი
და თუ კვლავაც ასე გაგრძელდა
არ არის ,,ჩენი საშველი.

ბელაძე.

საშიში სენი

(წერილი ხაშურიდან)

ძმაო ეშმაკო! ძალიან სამწუხარო ამბებს გატყობინებენ ხაშურიდან. თუ დროზე არ ვიხმარეთ ღონისძიება დიდი უბედურებაა მოსალოდნელი. საქმე აი რაშია.

ეს არის ეხლახან შევიარე ხაშურში სამეცნიერო მიზნით. (ექიმი ვარ და ეპიდემიურ სნეულებებს ვიკვლევ). მინდოდა გამომეკვლია ხაშურლების ფიზიკურ-სულიერი მდგომარეობა. რადგან ჩემ ყურადღებას უფრო მოსწყვლე ახალგაზრდობა იპყრობს (ესენი საუკეთესო მასალას წარმოადგენენ სამეცნიერო ექსპერიმენტებისათვის). მეც მათ მივმართე.

მოწაფეები ბლომად გამოფენილიყვნენ. დავაკვირდი, გადავშინჯე და გულმა ტკივილი იგრძნო. არც ერთი საღი! მაშინვე მივხვდი, რომ, ჩვენს დროში ფრიად გავრცელებულ სნეულებასთან—ტვინის ქარებთან მჭონდა საქმე. ამ ავადმყოფობის შესახებ მე ცალკე მაქვს გამოკვლევა, (რომლის წაკითხვას ვიპირებ პასტერის ინსტიტუტში მედიცინის პროფესორის ხარისხის მისაღებად). ახლა კი, ორიოდე სიტყვას მოგახსენებ მის შესახებ.

ტვინის ქარები მეტად საშიში და გადამდები სნეულებაა. უჩნდება მომეტებულად ახალგაზდებს განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა, სარწმუნოებისა და მიმართულებისა. თუმცა ეს სნეულება ყველგან არის გავრცელებული, უმეტეს დიდრონ ქალაქებში, მაგრამ არ მეგონა თუ ხაშურსაც მოიდებოდა, როგორც უფრო მორიდებულ კუთხეს. აქ ძმაო ეშმაკო, სნეულებას პირდაპირ ეპიდემიური ხასიათი მიუღია როგორც ეტყობა, აქაურ კლასიკურ გიმნაზიებს უფრო მოსდებია სენი. ხაშურის პედაგოგები ფრიად დამწუხრებულნი არიან ამ უბედურების გამო და საშუალებას საშუალებაზე იგონებენ მის აღმოსაფხვრელად.

პირველ ღონისძიებად მიღებულია, რომ „ავადმყოფ“ მოსწავლეებს სადგურის ბაქანზე გასვლა ეკრძალებათ, რადგან აქ ქალები და ვაჟები ერთმანეთს ხვდებიან და ასეთ შეხვედრის დროს „ავთმყოფებს“ დიდი „ქროლვა“ აუტყდებათ ხოლმე. პედაგოგთა ასეთმა საშუალებამ ვერ გასჭრა, და ახლა სხვა წამალი გამოსძებნეს. საჭიროდ სცნეს ნება დართონ „ავთმყოფებს“ ხაშურის კლუბში თავი მოიყარონ ხოლმე დრო გამოშვებით, (ქალებმა და ვაჟებმა) ტლინკაობა—(უკაცრავად „ტანცაობა“) მართონ და გვერდების, მკერდისა და ზურგის მასაჟი უკეთონ ერთმანეთს. იქნებ ამ მასაჟმა ტვინიდან ფეხებისკენ დასწიოს ქარები, მაგრამ ამ „ბრძნული“ საშუალებით უფრო უარეს დღეში ჩაჰყარეს საცოდავი ავთმყოფები. როგორც შევიტყვე პედაგოგებს კიდევ ბევრნაირი საშუალება უხმარიათ, მაგრამ უნაყოფოთ.

ახლა საქმე ჩვენზეა, და თუ დროზე არ მივეშველეთ „ავადმყოფობა“ ყველას გადაეცემა, გაანურჩესლად წლოვანებისა. ჩემს აზრით მასაჟი მათრახის კუდით უებარი საშუალება უნდა დარჩეს და ამიტომ დაყოვნება დანაშაულობა იქნება.

ერთი ამბავი კიდევ. ხაშურის ქალებში თურმე კარგა ხანია გავრცელებული ერთნაირი სნეულება, რომელსაც უბრალო ენაზე „ცუდობას“ უწოდებენ. ამ სენით შეპყრობილი ქალები რაღაც ავთმყოფურ ლტოლვილებას ჰგრძნობენ ქუჩისადმი.

ᲓᲘᲚᲘᲓᲒᲐᲜ ᲡᲐᲦᲐᲛᲘᲛᲓᲘᲡ (ᲙᲐᲠᲒᲘ ᲠᲝᲛ ᲛᲐᲚᲔ ᲦᲐᲛᲓᲔᲑᲐ) ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲓᲐᲓᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘᲡ (ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲡ) ᲐᲨᲚᲘᲚ ᲡᲐᲓᲔᲠᲫᲔᲚᲡ ᲘᲝᲜᲗᲔᲑᲔᲜ. ᲡᲐᲑᲚᲨᲘ ᲛᲘᲡᲔᲑᲚᲘᲡᲐᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲑᲣᲠᲘᲡ ᲭᲐᲛᲐᲡ ᲐᲮᲔᲠᲑᲔᲑᲔᲜ. ᲡᲮᲕᲐ ᲠᲐᲝᲛᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲓᲐᲛᲔᲚᲛᲔ ᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐᲗ ᲠᲐᲡᲐᲙᲘᲕᲠᲔᲕᲔᲚᲘᲐ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲒᲝᲗᲘᲜᲓᲔᲑᲝᲛᲓᲔᲡ ᲔᲒ. Ი. ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐᲛᲓᲔ.

ᲐᲑᲐ ᲨᲔᲜ ᲘᲪᲘ, ᲫᲛᲐᲝ ᲔᲨᲛᲐᲙᲐ, „ᲪᲣᲓᲐᲝᲑᲘᲡ“ ᲬᲐᲛᲚᲘᲪ ᲒᲔᲪᲝᲓᲜᲔᲑᲐ, ᲨᲔᲜᲔᲑᲣᲠᲘ. „ᲞᲐᲢᲔᲜᲢᲘᲐᲜᲘ“ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲒᲐ ᲑᲚᲝᲛᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲬᲐᲛᲝᲠᲘᲪ.

ᲢᲕᲘᲜ-ᲥᲐᲠᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲒᲝᲒᲘᲐ ᲛᲔᲡᲮᲔᲚᲘᲐ.

ᲭᲝᲠᲘ ᲗᲣ ᲡᲬᲝᲠᲘ!

(ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲓᲐᲜ)

ᲔᲡ ᲡᲬᲝᲠᲘᲓᲔ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲝᲮᲓᲐ, ᲠᲝᲪᲐ 1915 Წ. ᲔᲧᲠᲒᲑᲝᲓᲐ ᲡᲣᲚᲘ. ᲛᲝᲛᲘᲬᲧᲘᲜᲓᲐ ᲡᲣᲚ ᲧᲣᲔᲨᲘ ᲧᲝᲤᲜᲐ ᲓᲐ ᲘᲡ-ᲘᲡ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲓ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ ᲮᲔᲢᲘᲐᲚᲘ. ᲫᲚᲔᲚᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲠᲔᲓᲒᲔᲡ ᲙᲐᲪᲘ ᲘᲛ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲘᲡ ᲠᲐᲪ ᲒᲐᲕᲘᲐᲠᲔ, ᲡᲐᲜᲐᲛ ᲬᲐᲕᲐᲬᲧᲓᲔᲑᲝᲓᲘ ᲔᲠᲗ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝᲛ ᲙᲠᲔᲑᲐᲡ. ᲛᲔᲪ ᲣᲩᲘᲜᲐᲠᲐᲓ ᲩᲐᲕᲘᲠᲔᲓᲘ. ᲙᲐᲛᲗᲘᲠᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ „ᲪᲜᲝᲑᲘᲚ“ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲒᲜᲘᲠᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲨᲔᲨᲘᲡᲐᲮᲔᲑ. ᲗᲣᲠᲛᲪ ᲙᲠᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲔᲑᲣᲚᲘ ᲰᲥᲝᲜᲘᲐ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲖᲝᲚᲘᲣᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲢᲐᲜᲐ ᲘᲧᲝ ᲛᲐᲗ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲒᲐᲛᲝᲒᲘᲓᲔ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲛᲡᲬᲠᲔᲗᲐᲒᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲑᲝᲮᲘ ᲰᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲐᲚᲜᲣᲡᲮᲒᲐ ᲗᲕᲘᲗᲘᲡᲣᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲪᲐᲚᲪᲐᲚᲙᲔ: 1. ᲡᲞᲘᲠᲘᲓᲝᲜ ᲔᲜᲣᲥᲘᲫᲔ (ᲐᲮᲐᲚ-ᲡᲔᲜᲐᲙᲨᲘ) ᲨᲔᲡᲐᲜᲨᲜᲐᲕᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲚᲔᲥᲪᲘᲘᲗᲘᲗ ᲣᲤᲠᲝᲡᲗᲐᲜ, ᲒᲐᲬᲠᲗᲜᲘᲚᲘᲐ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲩᲐᲒᲠᲐ-ᲦᲚᲘᲔᲗᲐᲨᲘ. 2. ᲚᲐᲒᲔᲠᲗᲧᲐᲕᲐ (ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲚᲘᲡ ᲣᲛᲐᲦ. ᲞᲘᲠ. ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ) ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲝᲮᲓᲔᲜᲘᲚᲘᲐ ᲒᲐᲜᲣᲛᲓᲔᲕᲔᲚᲘᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲨᲝᲚᲝᲚᲘᲓᲐᲜ. 3. ᲒᲝᲛᲑᲝᲠᲘᲐ (ᲡᲐᲚᲬᲘᲜᲝᲠᲨᲘ) ᲣᲬᲜᲝ ᲛᲝᲮᲣᲪᲘ ᲐᲠᲨᲘᲧᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲙᲘ ᲓᲐᲐᲚ ᲡᲣᲡᲢᲘ. 4. Ი. ᲩᲣᲮᲣᲐ (ᲭᲐᲥᲕᲘᲜᲯᲨᲘ) ᲞᲘᲠ ᲚᲔᲥᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲜᲘ, ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲞᲐᲚᲢᲝ-ᲜᲐᲑᲐᲓ-ᲙᲐᲑᲐᲚᲐᲮᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔ ᲨᲙᲝᲚᲐᲨᲘ, ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲘᲡ ᲦᲚᲐᲢᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲕᲐᲨᲘ, ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲤᲐᲠᲕᲔᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲘᲪᲘᲡᲘᲐ (ᲒᲐᲜᲓᲔᲒᲘᲚᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲔᲠ ᲩᲐᲧᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡ) ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲗ ᲛᲘᲡᲘᲜ ᲖᲔᲓ ᲛᲔᲢᲘ ᲡᲘᲡᲣᲡᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲣᲛᲖᲐᲓᲒᲚᲝᲑᲘᲡᲐ. 5. ᲔᲕᲡᲔᲕᲘ ᲮᲝᲤᲔᲠᲘᲜᲐ (ᲫᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲜᲐᲙᲘ) ᲔᲡ ᲙᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲡᲘᲒᲚᲐᲮᲘᲗ ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲘᲚᲘᲐ—ᲑᲠᲛᲐ ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘᲐ ᲒᲛᲘᲠᲘ ᲡᲞᲘᲠᲘᲓᲝᲜ ᲔᲜᲣᲥᲘᲫᲘᲡᲐ. ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ: ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲦᲚᲐᲢᲨᲘ, ᲛᲝᲬᲐᲤᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲚᲐᲮᲘᲗᲐᲨᲘ. 6. ᲘᲝᲜᲐ ᲡᲔᲙᲐᲜᲘᲐ (ᲝᲠᲗᲝᲑᲘᲐᲜᲘᲡᲐ) ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲓᲔᲕᲔᲚᲘ ᲨᲙᲝᲚᲘᲓᲐᲜ 7. ᲘᲕᲜᲝ ᲤᲐᲠᲪᲕᲐᲜᲘᲐ (ᲜᲐᲭᲐᲚᲚᲐᲥᲔᲕᲨᲘ) ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲛᲘᲡᲘ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲨᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲗᲣ ᲒᲐᲠᲔᲗ ᲘᲛᲘᲡ ᲬᲐᲛᲮᲕᲗᲜᲔᲚᲘ. ᲔᲚᲕᲘᲡ ᲡᲘᲡᲬᲠᲐᲤᲘᲗ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘᲡ. ᲜᲝᲛᲘᲮᲘᲫᲕᲘᲜ „ᲮᲐᲞᲐᲡᲐᲓ“ ᲬᲐᲧᲣᲒᲜᲘᲚᲘᲗᲐ ᲝᲥᲯᲐᲮᲘᲡ ᲓᲘᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲩᲮᲣᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲔ ᲒᲐᲮᲗᲘᲗ. ᲛᲗᲐᲖᲔ ᲠᲐᲝᲪ ᲤᲐᲠᲘᲚᲘ „ᲠᲐᲡᲙᲚᲔᲚᲔᲥᲘᲡ“ ᲤᲣᲚᲘ ᲛᲝᲣᲗᲮᲜᲘᲒᲘᲐᲗ. Ბ. ᲘᲕᲐᲜᲔ ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐᲡ ᲒᲐᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲚᲐᲗ. ᲘᲕᲐᲜᲔ ᲠᲒᲔᲑᲘᲐ ᲜᲝᲯᲘᲮᲘᲫᲔᲚᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲐᲡᲐᲦᲚᲔᲢᲐᲗ 500 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ, ᲕᲘᲗᲘᲛᲘ ᲨᲙᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲔᲓ ᲡᲔᲜᲐᲙᲨᲘ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲖᲛᲝᲛᲝᲦᲚᲘᲜᲨᲜᲣᲚᲘ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲜᲢᲠᲘᲡᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔ ᲒᲐᲒᲠᲜᲘᲚᲖᲔ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲐ ᲜᲐᲪᲚᲝᲑᲔᲑᲗᲐᲜ. ᲛᲔ ᲞᲘᲠᲘ ᲛᲔᲒᲠᲜᲐ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲒᲐᲒᲠᲜᲘᲚᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲡᲬᲝᲠᲘᲐᲝᲗ ᲓᲐ ᲐᲛ ᲠᲘᲒᲐᲓ ᲓᲐᲕᲠᲬᲛᲣᲜᲓᲘ ᲠᲝᲛ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲘᲧᲝ ᲡᲬᲝᲠᲘᲐ.

ᲧᲐᲨᲘ-ᲛᲐᲤᲐ.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

ᲞᲐᲡᲣᲮᲐᲗ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲜᲝᲔ ᲛᲔᲒᲔᲚᲐᲫᲔᲡ.

ᲛᲔᲓᲘᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲛᲘᲬᲕᲔᲕ...
ᲐᲑᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲘᲗᲮᲠᲐ ᲕᲐᲠᲐ,
ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ
ᲛᲔ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲕᲐᲠ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲐᲠᲐ,
ᲓᲠᲝᲡ, ᲠᲘᲪᲮᲕᲡ ᲠᲝᲛ ᲗᲕᲘᲗ ᲓᲐᲜᲨᲜᲐᲕᲓᲔ
ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲒᲝᲜᲘ ᲪᲣᲓᲘ;
ᲓᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲒᲗᲮᲝᲕ ᲛᲝᲪᲜᲝᲑᲗ
ᲡᲐᲓ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ „ᲡᲣᲓᲘ“.
ᲛᲔᲪ ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲘᲥ ᲒᲘᲐᲮᲚᲔᲑᲘ
ᲩᲛᲘᲡ ᲛᲔᲓᲘᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘᲗ,
ᲛᲔ ᲩᲛᲘᲡ ᲕᲘᲢᲧᲣᲐᲠ—ᲗᲥᲕᲔᲜ ᲙᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲡᲐᲡ
ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲐᲗ ᲒᲐᲕᲡᲬᲝᲠᲓᲔᲑᲘᲗ.
„ᲡᲣᲓᲘᲡ“ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ
ᲗᲣ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘᲓᲔᲑ ᲛᲔ ᲛᲒᲝᲜᲘᲐ,
ᲠᲝᲛ ᲒᲐᲮᲝᲗᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲓᲔᲡ
ᲬᲔᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲐ.
ᲛᲨᲕᲘᲓᲗᲐᲗ ᲨᲔᲕᲮᲓᲔᲗ ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲡᲐ
ᲬᲔᲡᲘᲔᲠᲐᲗ ᲗᲣ ᲕᲘᲧᲕᲐᲠᲓᲔ,
ᲒᲗᲮᲝᲕ ᲒᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲧᲕᲐᲜᲔ
ᲒᲐᲚᲐᲒᲔᲚᲯᲮᲝᲗ ᲐᲠ ᲛᲘᲛᲕᲐᲠᲓᲔ.

ᲛᲐᲮᲚᲝᲕᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲔᲠᲗ „ᲣᲩᲘᲢᲔᲚᲘᲡ“ ᲨᲔᲜᲬᲘ „ᲐᲮᲠᲨᲘ“ ᲓᲐᲔᲬᲔᲠᲐ, ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ ᲨᲔᲜᲛᲐ ᲥᲪᲔᲕᲛ ᲮᲛᲝ ᲐᲪᲜᲐ ᲒᲐᲐᲨᲢᲔᲠᲐ.

ხო და, ისე რომ მეძგერო
გამიხეთქო შიშით გული,
„სტრახოვი ობშესტვოში“
ზურგი არ მაქვს დაზღვეული.
ამის რომ არ მეშინოდეს
მაშინ ვიყო ოჯახ-ქორი,
თუ ისე არ დავამტკიცო
ვით ოთხია, ორჯერ ორი.

ჟ—ნი.

—

პატ. რედაქტორო!

თქვენ პატივცემულ ჟურნალ „ეშ. მათრახის“ მესამე ნომერში მოთავსებული მოხსენება დ. ონიდან „კრიპეშიას“ ფსევდონიმით. დ. ონის საზოგადოებამ ჩვეულებისამებრ კვლავ ჩემზედ მოიტანა იერიში. გთხოვთ უმორჩილესად დაგვიმოწმოთ, რომ კრიპეშიას ფსევდონიმით მოთავსებული მოხსენება დ. ონიდან მე არ მეკუთვნის*).

ვლადიმერ მამაგეიშვილი.

—

ფოსტა

„ეშმაკის მათრახის“ რედაქცია ამით აცხადებს, **რომ უსახელო ავტორებისა** და **უცნობ პირთა** წერილები ჟურნალში არ დაიბეჭდება.

შემოხვევითი კორესპონდენტის ვინაობას და წერილში აღნიშნულ ამბის სისწორეს უნდა ამოწმებდეს ვინმე რედაქციისათვის სანდო პირი.

სარედაქციო წერილი უნდა დაიწეროს ქაღალდის ცალ გვერდზე და ყოველ აღნეულხულ ამბავს თან ახლდეს საჭირო ახსნა-განმარტება.

რომ სარედაქციო წერილი რედაქციაში მოსვლამდე არ გახსნან, საჭიროა კონვერტზე აღრესის შემდეგ დაეწეროს: „ეშმაკის მათრახისათვის“.

უმარკო წერილებს რედაქცია არ იხსნის და დაწუნებულ მასალებს არ ინახავს.

—

მიხეკ-დარიჩინს. თქვენ იწერებით: „ჩემ ლექსს ალბათ სარედაქციო კალათში გაკგზავნიო, რადგან ამ საქმეში ძალიერ დახელოვნებული

ვარ“.

მოდი და ნუ იქნები დახელოვნებული, როცა თქვენი ლექსისთანა ნაწარმოები დღეში ათი-თორმეტი მოგვდის.

ი. ჯიმშელაიშვილს. თქვენი „ზესთვირული“ ასე თავდება:

„ეშმაკო ამა შენ ოცდა
გადაუწერე მათრახი,
არა მეეშვა მანამდის,
სანამ არ მოგტეხ ქანქარი“.

ცხადია მეექვთამე ყოფილხართ და დიდის ხალისით გავიღებთ რამოდენიმე ქანქარს, თუ მეგვეშვები და ასეთი მესთვირულებით აღარ შეგვაწუხებთ.

სვიონაის პირელს.

„კაცის ხოტეკ, კაცის ჟლეტ
არ არის საბრალეულია
მეც ჩამანჩეს ხელს წაგკიდებ
ატყეანან საზანდრეულია“.

კიდევ კარგი, თუ ასე სთქვეს „საზანდრულიაო“ და ნამდვილი სახელი არ უწოდეს ¦თქვენი „ჩამანჩის“ ღიღინს.

ანდრო აბაშიძეს. აბა რა ვაკეკაცობაა სხვისი ფსევდონიმით ასეთი აბდა-უბდის წერა? არ დაიბეჭდება.

ვითომ ურუს. წაიკითხეთ დღევანდელი „ფოსტა“.

—

„ეშმაკის მათრახის“ ხელისმომწერთა საყურადღებოთ:

ვთხოვთ ხელის მომწერლებს ჟურნალის ფული ვისაც არ გადაუხდია ადრე გამოგზავნონ, წინააღმდეგ შემთხვევაში „ეშმ. მათრახის“ გზავნა შეუწყდებათ.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Ольгинская № 6, С. Таварткиладзе.

---

*) „ეშმაკის მათრახის“ რედაქმია ამოწმებს ბ-ნ ვ, მამაგეიშვილის კანცხადებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის-მოწერა 1916 წლისთვის.

ყოველ-კვირეული იუმორისტული გამოცემა

ეშმაკის მათრახი

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ ეშმაკი და თაგუნა, ხოლო გამოცემის საქმეს ა. გ. ბუკია.

ჟურნალის ფასი 12 თვით 5 მ. ✦ 6 თვით 3 მ. ✦ 3 თვით 1 მ. 50 კ. ✦ თვით 50 კ.

„ეშმაკის მათრახში" დაიბეჭდება მ ხ ო ლ ო დ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვესები და სხვა.

✦ **ჟურნალში დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილიუსტრაციები.**

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს, მასალები გამოგზავნონ ამ ადრესით:

Тифлисъ *)

С. Р. Таварткиладзе.
Олгинская 6,
Почтов. ящ. № 96.

(ეშმაკის მათრახისათვის)

*) ეს ადგილი კონვერტზე მარკისათვის არის დანიშნული და გულმავიწყებს მოვაგონებთ, რომ ✦ უმარკო წერილებს რედაქცია არ დაიხსნის ✦

ნებადართულია სამხ. ცენზორ. სტამბა ამხ. „შრომა" რედაქტორ-გამომც. თეოფილე ბოლქვაძე.